ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

30 დეკემბერი 2025

N188273

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს ,,ეს 4 ეს“-ისთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ” ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 15 ივლისის N 150306 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე

2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის ანგარიშგების წარუდგენლობის საფუძვლით, შპს ,,ეს 4 ეს“-ის (ს/ნ 206335820) (შემდგომ - სუბიექტი) მიმართ გაცემულ იქნა ,,შპს ,,ეს 4 ეს"-ისთვის ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ - სამსახური) 2025 წლის 4 აპრილის N149318 ბრძანება, რომლითაც სუბიექტს დაეკისრა ფულადი სანქცია 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.

მოცემული ბრძანებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის საფუძვლით, გაცემულ იქნა ,,შპს ,,ეს 4 ეს’’-ისთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ’’ სამსახურის უფროსის 2025 წლის 15 ივლისის N 150306 ბრძანება, რომლითაც სუბიექტს დაეკისრა ფულადი სანქცია 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

სუბიექტმა 2025 წლის 22 სექტემბერს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს წარუდგინა N148683/01 საჩივარი და აღნიშნა, რომ ის 2023 წლის საანგარიშგებო მიზნებისთვის წარმოადგენდა მე-4 ზომითი კატეგორიას და აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, საჩივრის ავტორმა მოითხოვა მოცემული ბრძანების ბათილად ცნობა. სამსახურმა ადმინისტრაციული ორგანოს სისტემის თვითკონტროლის მიზნით, უზრუნველყო წარმოების დაწყება, მის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებ(ებ)ის გადასინჯვა და დამატებით გამოიკვლია საჩივარში მითითებული ახალი ფაქტობრივი გარემოებები. აღნიშნული წარმოების საფუძველზე, სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2025 წლის 17 დეკემბრის N 114015-16 მოხსენებითი ბარათის თანახმად, სუბიექტი განისაზღვრა მე-4 ზომითი კატეგორიის საწარმოდ და ,,შპს ,,ეს 4 ეს“-ისთვის ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ’’ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 4 აპრილის N149318 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ’’ სამსახურის უფროსის 2025 წლის 29 დეკემბრის N188254 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი

წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომ კოდექსი) მე-6 მუხლისა და მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა. კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მითითებულ უნდა იქნეს ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას. ამავდროულად, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

კოდექსის 60^1 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები“. ამავე მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილების თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო“, ამასთან, „ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა მისი ძალაში შესვლის დღიდან“.

სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის 2025 წლის 17 დეკემბრის N 114015-16 მოხსენებითი ბარათის, ,,შპს ,,ეს 4 ეს“-ისთვის ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ'' ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 4 აპრილის N149318 ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ'' სამსახურის უფროსის 2025 წლის 29 დეკემბრის N188254 ბრძანების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლისა და კოდექსის 60^1 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი ,,შპს ,,ეს 4 ეს''-ისთვის გაორმაგებული ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ'' სამსახურის უფროსის 2025 წლის 15 ივლისის N150306 ბრძანება მისი ძალაში შესვლის დღიდან.
2. აღნიშნული ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური